

მწყაველი



მწყემსმან კეთილმან სული
თვის დაჰსდის ცხოვართათვის
იოან. 10—11.

№ 21

1883—1908 წ.

20 ნოემბერი

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განყოფილება: დმერთზე და ღვთის ნებაზე, მღვ. ი. ლუკიანოვისა.— წერილი რედაქციისადმი დეკ. ნიკოლოზ ფრუქასა.— სიკვდილი, ლექსი ი. ბალუევისა.— ნეკროლოგი, დ. დ. ლ.— ჟურნალ-გაზეთებიდან.— ახალი ამბები და შენიშვნები.— მოწოდება.

I ღმერთზე.

„ღმერთი არავინ სადა იხილა“, ნათქვამია სახარებაში (იოან. 1, 18.); გარნა, სარწმუნოება ღვთისა— მიმართ აქვს ყველა ხალხს. ძველი საბერძნეთის მწერალი, ისტორიკოსი პლუტარხი, რომელიც ბევრს მოგზაურობდა და ბევრი სხვა და სხვა ქვეყნები და ხალხები ნახა, სწერდა: „აბა შემოიარეთ თქვენ მთელი ქვეყანა, თქვენ ნახავთ ყველაფერში ბევრს განსხვავებას: თქვენ შეხედებით სოფლებს, სადაც არავითარი კანონი არ არსებობს, შეხედებით ხალხს, რომელსაც არც-კი აქვს წარმოდგენა ფულზე; შეხედებით ქალაქებს უციხეებოთ, მთელ ხალხის ტომს უბინაოთ და უსახლ-კაროდ, — მაგრამ ვერსად ვერ ნახავთ ისეთ მხარეს ან ხალხს, რომელსაც არ ჰქონდეს საკუთრებელები და სამსხვერპლოები, სადაც მსხვერპლი შეიწირება და ზეცისადმი ლოცვა აღევლინება.“

რაზეა დამყარებული ხალხის ასეთი საყოველთაო სარწმუნოება ღვთისა-მისართ? — პირველად, იგია დამყარებული პირდაპირ გულის-ყურზე, ბუნებრივად დაყოლილ რელიგიოზურ გრძნობაზე. თვითფულს ჩვენგანს, უთუოდ, გამოცდილი ექნება თავის თავზე, რომ სხვისი დაშტერებით

ცქერას ვგრძნობთ ჩვენზე. მაგალითად, ჩვენ წიგნს ვკითხულობთ, სხვა საქმეს ვაკეთებთ, ან ვლაპარაკობთ, უცებ ვგრძნობთ ჩვენ თავს რაღაცა არა ჩვეულებრივად. უნებლიეთ ვიხედებით უკან და ვხედავთ, რომ ჩვენ ვიღაც დაშტერებით გვიყურებს და მით თითქოს გვაიძულებს ჩვენც შევხედოთ.

არის მაგალითი, რომელიც მომეტებულად საგრძნობელად გვიმტკიცებს სხვის უხილავად ჩვენთან ყოფნას. წარმოვიდგინოთ, რომ კაცი შემთხვევით შევიდა დიდ ბნელ შენობაში; მიუხედავად სრულის სიჩუმისა და სიბნელისა, იგი ნამდვილად გრძნობს რომ იმასთან იქ არის კიდეც ვინმე. არავინ არა სჩანს, არაფერი არ ისმის, მაგრამ კაცი გრძნობს რომ ვიღაცა არის.

აგრეთვეა მთელი კაცობრიობაც დედა-მიწაზე. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ გარშემო ქვეყნიერებას, მაგრამ გულით ვგრძნობთ, რომ არის ვიღაც ქვეყანაზე უმაღლესი, რომ ჩვენ დედა მიწაზე მარტონი არა ვართ, რომ ჩვენ შორი-ახლოდგან გვიყურებს დაშტერებით ვიღაცას თვალი; და ხალხი აქეთ-იქით იყურება, ეძებს უხილავს, მაგრამ ნაგრძნობს არსებას.

ქვეყნიერების შესწავლა, გაცნობა გარშემორტყმულ ბუნებისა კიდეც მომეტებულად არწმუნ-

ნებს კაცს, რომ ეს გონივრულად და გასაოცრად მომართული ქვეყანაც, — ღვთისაგან არის გაჩენილი და უმიზეზოდ არ გაჩნდებოდა

ჩვეულებრივად ზოგიერთი ფიქრობს, რომ მეცნიერება, შესწავლა ბუნებისა და საზოგადოდ განათლებული კაცის გონება სარწმუნოებას არღვევს. ეს დიდი შეცდომაა. ნამდვილი განათლებული გონება მტერი-კი არ არის სარწმუნოებისა, იგი მისი სანათია. წაართვით სარწმუნოებას გონება, და იგი დაჰკარგავს თავის მალალ ფასს, გახდება ბრმა სარწმუნოებად: იგი იქნება უკვე არა სარწმუნოება, არამედ ცრუმორმუნეობა.

ღვთის სარწმუნოება შეუძლიან უარ-ჰყოს მხოლოდ ზერელედ განათლებულმა კაცმა, რომელსაც სწავლა მარტოოდენ დაუწყია, და გულ-დაჯერებით ჰფიქრობს, რომ იმან ყველაფერი გაიგო, ყველაფერს მიხვდა. ნამდვილი სწავლა-განათლებას კი, რომელიც დამყარებულია ქვეყნის და ზეცის საიდუმლოების შესწავლაზე, ბუნების კანონების ახსნაზე, აუცილებლად მიჰყავს კაცი ღმერთთან. შესწავლა განუსაზღვრელის ღვთის წიგნისა, რომლის სახელიც ქვეყნიერებაა, აიძულებს უდიდეს სწავლულ კაცებს ამ წიგნის თითოეულ ფურცელზე, თითოეულ სტრიქონში, ზეციურ მნათობების მოძრაობაში, ან სულ-უბრალო მწერის ცხოვრებაში დაინახონ ნათლად დახატული სახელი შემოქმედისა.

ინგლისის შესანიშნავი მეცნიერი და ღრმა მოაზრე ბეკონი ამოხსნა, რომ ნამდვილი მეცნიერების და ფილოსოფიის აზრი იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ კაცობრიობამ ქვეყნის შემოქმედი სავსებით გაიგოს, და რომ ამისი საუკეთესო საშუალება, საღმრთო წერილის გარდა, არის შესწავლა ქვეყნიერებისა. ეს სიტყვები ბეკონისა მით უფრო ნათელი და გასაგებია სერიოზულ მოაზრე კაცისათვის, რაც მომეტებულად გონიერი და ნასწავლი იქნება-იგი.

აიღეთ, მაგალითად, ნიუტონი, რომელმაც ახსნა კანონები მთელი მსოფლიოს ქვეყნების მოძრაობისა. სხვა დიდი მეცნიერები ვერც-კი პოულობენ სიტყვებს რომ საკმაოდ შეაქონ იგი, მხოლოდ კი თვითონ ნიუტონი შემდეგს ამოხსნა თავის თავზე: „არ ვიცი რად მივაჩინიარ მქ ქვეყანას, მაგრამ მე

ჩემი თავი მაქვს წარმოდგენილი ბავშვად, რომელიც ზღვის პირას თამაშობს და აგროვებს სიბჭევებს და მშენიერ კიბოებს, მაშინ როდესაც ზღვის სიღრმეში დამალულია მისგან ქეშმარიტება. ასე თავმდაბლად სჯიდა თავის თავზე ეს დიდი გენიოსი ჰკუისა და მეცნიერებისა. ეს კაცი ისეთი მოწიწებით გრძნობდა დამოკიდებულობას ღმერთთან, რომ ქუჩაზედაც-კი იხდიდა ქუდს ღვთის სახელის ხსენებაზე.


შესანიშნავი მატემატიკოსი და ბუნების-გამომედიებელი ამპერი ერთ-ერთ თავის წერილში ურჩევს ახალგაზდა ნასწავლს: „მოერიდე მეცადინეობას განსაკუთრებით და მარტოოდენ მეცნიერებისას, როგორც ამას შენ სჩადიოდი წინათ. ისწავლე, გამოიკვლიე ქვეყნიერობა; ეს არის მოვალეობა მეცნიერი კაცისა; გარნა, ამ ხილულ ქვეყანას უცქირე ერთი თვალით, მეორე თვალი მიმართული გეჭიროს განუყრელად საუკუნო სინათლისადმი. ერთი ხელით გამოიკვლიე ბუნება, ხოლო მეორეთი მოჰკიდე ღვთის სამოსლის კალთას.“

მაგალითები ნიუტონისა, კეპლერისა, გალილეისა, ამპერისა, ლიბნიხისა, პასტერისა და ბევრი სხვის მეცნიერების და ჰკუის მნათობებისა—ცხადად გვიმტკიცებენ, რომ ღმერთს უარჰყოფს მხოლოდ მეცნიერული წინდაუხედაობა, ხოლო სერიოზულ კოდნას, ქეშმარიტ მეცნიერებას მიჰყავს კაცი ღმერთთან. გარნა, კაცის გული და გონება, ამტკიცებს-რა ღვთის არსებობას, მათ ვერ შეუძლიანთ ახსნან ღვთის არსების საიდუმლოება. ღვთის სავსებით გაგება ადამიანს ვერ შეუძლიან.

ღვთის საიდუმლოება იცის მხოლოდ ღმერთმა. კაცს შეუძლიან იცოდეს მხოლოდ მარტო კაცობრიული.

ქრისტეს დაბადების დიდი-ხნის წინათ სიცილიაში სცხოვრებდა ხელმწიფე, სახელად გიერონი. იმას ჰყავდა სასახლეში ბევრი შესანიშნავი ბრძენნი, რომელთა შორისაც განსაკუთრებით ირჩეოდა ვინმე სიმონილი.

ერთხელ გიერონმა დაუძახა მას და უთხვრა: —სიმონილო, ბევრი სიკეთე მიყავი შენ მე. რანაირ ძნელ შემთხვევაშია-კი მოგმართე, შენ ყოველთვის მადლვედი მე გონივრულ რჩევა-დარიგებას და ყველაფერს მიხსნიდი. აბა ეხლაც მოიხ-



მარე შენი გონიერება და ამიხსენი მე: რა არის ღმერთი?

—ძნელ კითხვას მაძლევ მე, ხელმწიფევე,— უპასუხა სიმონილმა.—ამაზე პასუხის-მიცემა უცებ შეუძლებელია, ნება მომეცი ერთი-ორი დღე ვიფიქრო.

—კარგი!—დასთანხმდა გიერონი.

გავიდა ორი დღე; მოვიდა მეფესთან სიმონილი. გიერონი უცდის ახსნას; სიმონილი-კი, პასუხის მაგივრად, სთხოვს ოთხი დღის ვადას მოსაფიქრებლად:

—ძნელი საქმეა! ამბობს სიმონილი.

—ვიცი, რომ ძნელია,—უპასუხებს გიერონი,—ჰო და სწორეთ იმისთვის მოგმართე შენ, რომ ძნელი გამოსაცნობია; ადვილი რომ ყოფილიყო, მაშინ იმის ახსნას სხვას ვთხოვდი. წადი და იფიქრე.

გავიდა ეს ოთხი დღეც. სიმონილი მივიდა მეფესთან და სთხოვა კიდევ დაცდა რვა დღე.

გიერონი გაჯავრდა.

—შენ ხუმრობ, სიმონილო! ჯერ მთხოვე ორი დღე, მერე ოთხი, ეხლა რვასა მთხოვ. გავა ეს რვა დღეც, და უთუოდ თექვსმეტს მომთხოვ, იმის შემდეგ—ოცდა თორმეტს. როდის-ღა მომცემ პასუხს?

—შენ მიხვდი, ხელწიფევე,—დამშვიდებით უთხრა სიმონილმა.—რვა დღის შემდეგ, მე მოგთხოვდი თექვსმეტს, შემდეგ ოცდა თორმეტს, მერე იმას იქით სამოცდა ოთხს და ამნაირად ორჯელმეტს, გაუთავებლად. რაც შეეხება პასუხს, მე მგონია უკვე მოგეცი.

—როგორ მამეცი?—გაუკვირდა გიერონს.—შენ ჯერ არაფერი არ გითქვამს ჩემთვის ღმერთზე, გარდა იმისა, რომ მთხოვდი დაცდას.

—აი სწორეთ ეს არის ჩემი პასუხი,—უთხრა სიმონილმა.—შენი კითხვის ახსნა, ხელმწიფევე, არ ძალუძს არცერთ ბრძენს. რაც მეტს ფიქრობს კაცი იმაზე მით ნაკლებად ესმის იგი. ამისათვის თხოვილობს დაცდას. ეს კითხვა ჰგავს მთასა. შორიდგან უცქერი, უშველებელ-დიდად გეჩვენება,—ახლო მიხვალ, უფრო მომეტებულად მაღლდება და იზრდება, და შენი თავი გეჩვენება მის წინაშე პატარად, საბრალოდ, არაფრის შესარაცხად. თუ-კი მთის შემოხვევა და დაფარვა არ შეიძლება ხელით, მაშროგორ გინდა შენ, ხელმწიფევე, ჭკუით მისწვდე იმას, ვინც გააჩინა მთაც და კაციც?

მიხვდა გიერონი სიმონილის სიტყვებს, მოწიწებით მიაპყრო ზეცას თვალები და სთქვა:

—ღიახ, ღმერთი მიუწოთომელია!

საეკლესიო მწერალი, ნეტარი ავგუსტინე მოგვითხრობს თავის თავზე ამის მს.ავს შემთხვევას. იმან დასწერა ბევრი თხზულება ასახსნელად ქრისტიანობრივის სარწმუნოების და ცხოვრებისა, და ბოლოს მოინდომა წიგნის დაწერა ღმერთზე. მიჰყო ხელი მუშაობას; დილითვე დაიწყო საქმე; დასწერა სათაური: „ღმერთზე“, და ჩაუფიქრდა, როგორ უფრო უკეთესად აუხსნას ხალხს, რა არის ღმერთი. იფიქრა, იფიქრა ბევრი, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. დაიღალა ავგუსტინე მომეტებული ფიქრისაგან. თავი ასტკივდა. წავიდა ზღვის პირას გასაგრილებლად.

მიღის ქვიშაზე, ფიქრობს თავის საქმეზე და ხედავს: ზღვის ნაპირს ზის ბავშვი, ამოუთხრია ორმო, ჯამის ნატეხართ იღებს ზღვიდან წყალს და ასხამს ორმოში.

—რას აკეთებ შენ აქ, ბავშვო?—ჰკითხა ავგუსტინემ.

—მე ამოვთხარე პატარა ორმო და მინდა გადმოვასხა ამაში მთელი ზღვის წყალი, უპასუხა ბავშმა და განაგრძელა თავის საქმე.

ავგუსტინემ გაიღიმა, წავიდა იქით და სთქვა:

—რა მოსულელოები არიან ბავშვები! რა ცოტა ესმით იმათ! აი, მაგალითად, ეს ბავშვი ფიქრობს ჯამის ნატეხართ გადმოასხას მთელი ზღვის წყალი ერთი-ბეწვა ორმოში.

ავგუსტინეს მოაგონდა თავისი ფიქრები და თავისით სთქვა:

—განა მეც ისეთივე ბავშვი არა ვარ? ჩემის სუსტის ჭკუით მინდა მივსწვდე და აუხსნა სხვას განუხსაზღვრელი ღვთის არსება. პატარა ვერ შეიცავს დიდს, და ამისთვის საკმარია, ეს პატარა გონება მოსდრკეს წინაშე დიდისა, მიეღოს მის ნებას, ეცადოს შეისწავლოს ეს ნება და ცხოვრებაში გაატაროს იგი.*)

*) ჩვენს ხალხში არსებობს ამის შესახებ სულ სხვა ზეპირ გადმოცემა: როცა პატარა ბავშვმა უთხრა, რომ ამ ორმოში უნდა გადმოვაქციო ზღვაო ავგუსტინემ ურხრა: რას ამბობ შენ, ნუ თუ ის არ იცი, რომ მაგ პატარა ორმოში არ დაეტევა ეს უშველებელი ზღვა? პატარა ბავშვმა უთხრა: როგორც ამ პატარა ორმოში არ დაეტევა ეს დიდი ზღვა ისე შენს თავში არ დაეტევა სწავლა-მეცნიერება ღვთის შესატყობლად და ბავშვი უხილავად შეიქმნა...



II ღვთის ნებაზე.

1846 წელს აღმოაჩინეს ახლად პლანეტა ნეპტუნი. საკვირველი იყო მისი აღმოჩენა: იგი მოხდა და ნასწავლი კაცის კაბინეტში, საწერ სტოლზე. ორმოცდა ხუთი წლის წინათ დაინახეს სხვა პლანეტა—ურანი. გამოიანგარიშეს მისი მოძრაობის გზა და თვალ-ყურს ადევნებდნენ იმას. აღმოჩნდა მოულოდნელი გადაბირება. სწავლულები ვერ მიმხვდარიყვნენ. მაშინ ერთმა ვარსკვლავთ მრიცხველმა ლავერიემ წარმოიდგინა, რომ ურანის იქით სხვა პლანეტა უნდა ყოფილიყო, რომელიც თავის მიზიდულობით მოქმედებდა ურანის გადაბირებაზე.

ლავერიემ 1845 წელს იანგარიშა და მალე განსაზღვრა სიდიდე და ადგილი ახალის უცნობი პლანეტისა. ბერლინში, სადაც იყო საუკეთესო ზეცის მნათობების კარტა და სუკეთესო მაჩვენებელი დურბინდა, დაუწყეს ძებნა ნაჩვენებ ადგილში წინათ განზარახულ პლანეტას და მართლაც ნახეს.

აქედგან სჩანს, მაშასადამე, რა ნაირი სისწორეა ზეციურ მნათობთა მოძრაობაში, თუ-კი როცა გვინდა, შეგვიძლიან დავინახოთ ზეციურ ოკეანეში მიკარგული ვარსკვლავი. სჩანს, ყველაფერი სასტიკად ერთხელვე დანიშნულ კანონების თანახმად მიმდინარეობს. ამ კანონებს ემოსჩილება მთლად ქვეყნიური ცხოვრების ყოველივე დიდი და პატარა, ცხოვრება მზისა და ოკეანესი, ცხოვრება ნამცეცისა და წყლის წვეთისა. უზარმაზარ ქვეყნიურ მანქანაში ყოველივე ქანჩი, ვინტი, მქედული ემორჩილება უზენაეს არსებას. სახარებაში ნათქვამია, რომ ერთი ბეწვიც არ ჩამოვარდება კაცის თავიდან ღვთის ნებოდ.

თუ ეს ასეა, მაშ დედა-მიწაზე ხალხში რათ არის ამდენი ყოველგვარი უწესოება, რათ არის ხან და ხან ცხოვრება ჩვენი ასეთი მძიმე?—ამაზე პასუხს იძლევა ძველი დროის ბრძენი ეპიკტეტი. ის ამბობს: „ღმერთმა გააჩინა კაცი საბედნიეროდ და სანეტაროდ, და არა ტანჯვა-წვალებისათვის. თუ რომ კაცი უბედურია, ამაში დამნაშავეა თითონვე იგი; მაშასადამე იგი თავის ცხოვრებას არ ატარებს გამჩენის ბრძნული ნების თანახმად“.


ცხოვრება არის მზგავსი მგალობელთა გუნდისა. გალობა მიდის მწყობრად და ხმები ერთანხმებთან ერთმანეთს მაშინ, თუ მგალობლები ყურს უვლებენ მმართველის მიერ მიცემულ ხმას და მისდევენ მის ჩვენებას.

გემისათვის ნაჩვენებია გზა, და გაუშვეს იგი ამ მიმართულებაზე. თუ რომ ამას სწორეთ ეჭირება საქე (руль), მაშინ იგი მშვიდობით მილწევს ნავთსადგურს. თუ გზას ასცდა, მაშინ შეიძლება გაირიყოს, ან ქვეებს დაეჯახოს და გატყდეს. ასეა ადამიანის ცხოვრებაშიაც.

კაცი თავისუფალია მოიქცეს ისე, როგორც სურს. იმას შეუძლიან თუ გინდ იქით წავიდეს, თუ გინდ აქეთ წამოვიდეს ყველა ოთხივე კუთხით. იგი თითონვე ირჩევს და გაჰყავს ცხოვრების გზა; გარნა, მისი ბედნიერება მხოლოდ მაშინ იქნება საიმედო, თუ ეს გზა არის გზა ღვთის ნებისა.

თუ რკინის გზა არის გაკეთებული ხელოვნების ყველა მოთხოვნილების თანახმად: მაგალითად, მიწი მაგრაა დაყრილი, ხეები მაგრად არის დაწყობილი, ახალი რელსები კარგად არის დამაგრებული, ორთქლმავალი და ვაგონები რიგაანათაა გაკეთებული და მასთანაც საიმედო მემანქანეა,—მაშინ შეუძლებელია მატარებლის გზიდან გადავარდნა. თუ რომ ყველაფერი კეთდება „როგორმე“, ხელოვნების მოთხოვნილებას უგულვებელ-ჰყოფენ,—მაშინ მატარებლის რაიმე უბედურობა აუცილებელია. ყვილაფერს თავისი კანონები აქვს და მათი უგულვებელს-ჰყოფა დაუსჯელად შეუძლებელია. აგრეთვეა ადამიანის ცხოვრებაშიაც.

უეჭველია, რომ თუ ადამიანი შემრგე საქმეების მაგივრად დაუწყებს ჰამას ნახერხს, ტალახს, ქვიშას,—მოიშლის კუქს და დაჰკარგავს ჯანმრთელობას; აგრეთვე შეუძლებელია რომ ადამიანმა არ მოიშალოს ცხოვრება, არ გააჭუჭყიანოს თავისი სული თუ რომ იგი სცხოვრობს მხოლოდ თავის გულის-თქმაზე, თუ იგი იკვებება ბოროტებით და უსამართლოებით. ქვეყნის ცხოვრება მიმდინარეობს შემოქმედის კანონების თანახმად; ადამიანის ცხოვრებაც ღვთის ნების თანახმად უნდა იყოს მოწყობილი. ამისთვის—უმალღესი სიბრძნე კაცისა იმაში-კი არ მდგომარეობს, რომ გაიგოს ყველა საიდუმლოები ქვეყნიერების ცხოვრებისა, არამედ



პირველად იმაში, რომ გაიგოს მიზანი კაცის ცხოვრებისა, მიხვდეს რა არის ნება ღვთისა; აი ამისთვის მაცხოვარი ეუბნება ხალხს: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა“ (მათ. 6, 33).

სად უნდა ვეძებოთ ეს სიმართლე? ვის შეუძლიან უთხრას კაცს, რა არის ნება ღვთისა?

ცოდნა და მეცნიერება უხსნიან ადამიანს, როგორც სცხოვრობს ქვეყანა და ხალხი ფიზიკურად; ხოლო როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი სულიერად, როგორ უნდა იქცეოდეს, რომ თავისი და სხვისი ბედნიერება მოაწყოს, ამას მეცნიერება ვერ იტყვის. ამას გვიხსნის ჩვენ ქრისტიანობრივი სარწმუნოება. ეს სარწმუნოება გვეუბნება, რა გამოგვიცხადა ღმერთმა თავის თავზე და თავის ნებაზე.

დანის უმთავრეს ქალაქში კობენგაგენში საკრებულო ტაძარში არის შესანიშნავი ხელოვნების ქანდაკება. სდგას დაჩოქილი ანგელოზი, და ხელში უჭირავს დიდი ცარიერიელი კეცი. თვალები მიყრდნობილი აქვს ზეცისაკენ. ის ელის, რომ უფალმა შეავსოს იგი.

კეცი არის ნიშანი კაცის სულისა. ადამიანის სული იღებს ქვეშარიტებას, უმაღლეს სიბრძნეს ღვთისაგან.

თავის სიბრძნეს, თავის განცდადებას უფალი უგზავნიდა და უგზავნის ყველა ხალხს სავსებით, მაგრამ ყველას არ შეუძლიან მიიღოს. წარმოვიდგინოთ, რომ უწყლო ქვეყანაში მოვიდა დიდი წვიმა; მაგრამ ყველანი საკმარისად ვერ აგროვებენ გამაცოცხლებელ წყალს: ზოგი იღებს დიდი კასრით, ზოგი—ქოთნით, ზოგი კიდევ მხოლოდ—მუჭით. რასაკვირველია, წყალი ერთნაირის რაოდენობით არ ექნება ყველას.

აგრეთვე ერთნაირად და წმინდად ყველანი ვერ ითვისებენ ღვთის სიბრძნეს. ცაზედ მზეც ბრწყინვალედ ანათებს, ყველა მხრივ საკმარისად გზავნის თავის სხივებს, მაგრამ ხალხს სახლებში სინათლე სხვა და სხვა რაოდენობისა აქვს, იმისა მიხედვით თუ რამდენი მუჭი შედის ფანჯრებში. ზოგ ფანჯარაში მინაა ჩასმული, ზოგში გაქონილი ქაღალდია გაკეთებული, ზოგში—ხარის ბუმბია, ზოგში ყინულის ფიცარია, ზოგში კიდევ თხელი გამსჭ-

ვირვალე ქვა არის ჩასმული, ამასთანავე სხვა ყველა ფანჯრები გაბტვერიანებული აქვს. ასე რომ გარეთ ნათელი დღე არის, შინ-კი ნამდვილი საღამოს ბინდია.

სიბნელეში ხომ ცუდად მიმდინარეობს მუშაობა: ხან იმას აიღებ ხელში, რაც საჭირო არ არის, ან დასდებ იქ, სადაც არ უნდა დადება, ან გაგიტყდება ავეჯი, ან თითონ იტყენ რამეს, ფეხს წამოჰკრავ რამეს და წაიქცევი, ან წაზოედები რამეს, ხელიდან გაგივარდება. ერთი სიტყვით. კარგათ ვერა კეთდება-რა, ამის მიზეზი-კი ერთია—სიბნელეა.

აი ეხლა გასაგებად ხდება ის, რატომ არის ჩვენ ცხოვრებაში ამდენი უწყსოება და ნაკლებულობა? ჩვენ ვცხოვრობთ სიბნელეში; ვერ ვხედავთ ნათლად ღვთის ნებას; ხშირად არც-კი გვემის ჩვენ, რა არის სიკეთე და რა არის სიბოროტე. ვერ ვარჩევთ რა არის ღვთის ნება, რა არის საკუთარი ჩვენი გულის-თქმა. ადამიანის ხუმტურიანობა. მაცხოვარი ამბობს: „სცდებით, რომ არ იცით წერილი, არცა ძალა ღვთისა“.

ხალხის გონება და გული სულ სხვა ფიქრებით იყენენ შეპყრობილნი, და არა იმითი, რომ ნამდვილი ცხოვრების გზა ეპოვნათ. სულ სხვა რამეს ეძებდა ხალხი, და ამისთვის გზას ასცდა; შევიდა ისეთ ხშირ ტყეში, რომ ადგილ-ადგილ სინათლეც-კი აღარა სჩანს. ტყეა, დაბურვილი ტყეა გარშემო,—ტყე უსამართლოებისა, უსჯულოებისა, გარყვნილობისა და ყოველგვარი ბოროტების.

უნდა გამოვიდეთ ამ ტყიდგან, ნულარ შევალო უფრო კიდევ შიგნით, ვეძებოთ გამოსასვლელი, ვიპოვოთ ნამდვილი გზა.

ეხლა ზოგიერთისთვის ცხოვრება წარმოადგენს მძიმე ურემს, რომელსაც ძლივ ძლივობით ეწევა ადამიანი მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში. ამ ურემში შებმული ეწევა, ოფლში გაწურული, ძლივს სულს იბრუნებს, ეცემა და ტალახში იფლობა. ყველაფერი ეს იმისთვის ხდება, რომ ჩვენ მივდიდართ არა იმ გზით, რომლითაც უნდა წავიდეთ. ქაობიან ადგილს, დაბურვილ ქალაში არ იქნება, რომ გზა დახრამული, ოღროჩოღრო და ძნელად გასავლელი არ იყვეს. იქ ურემს არ შეუ-

ძლიან სწორეთ გაიაროს, რომ არ ჩაიფლას და გაჩერდეს. უნდა გზა გამოიკვალოს, უნდა მოიძებნოს ახალი, სწორე, მაგარი და საიმედო გზა. ბევრს ნიშნავს ავრეთვე ურემში შებმაც. თუ რომ უღელ-ლი სწორეთ არ არის, კისერს ატკენს. ამისთვის მაცხოვარი ამბობს: „ალიღეთ უღელი ჩემი თქვენ-ზედა და ისწავეთ ჩემგან... რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუმბუქ არს“ (მათ. 11, 29 — 30).

როდესაც ჩვენ გზა დაგვეკარგება ტყეში და სწორე გზაზე ვეღარ გამოვსულვართ, ჩვენ მაშინ დავიწყებთ ყვირილს, ძახილს, რომ სხვამ პასუხი მოგვცეს. ეგრეთვეა ცხოვრებაშიაც. ხშირად ჩვენ ყველანი გზა დაბნეულები ვართ, არ ვიცით საით მივდივართ. საჭიროა შეველა. მაცხოვარი გვაძლევს მას. იგი გვიძახის ჩვენ, გზა-დაბნეულებს და მაშვ-რალეხს: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-ამძიმენი; და მე განგისვენო თქვენ“.

გაყვეთ მაცხოვარს და ვისწავლოთ მისგან ცხოვრება!..

მღვ. იოანე ლუკიანოვი.




წერილი რედაქციისადმი.

ნეტარ ხსენებულმა იმერეთის ეპისკოპოსმა უ-დ სამღვდლო გაბრიელმა 1878 წ. შესანიშნავი ბრძანება გასცა თავის ეპარხიაშიდ: ქორწინებაშიდ შემსვლელთ უნდა ესწავლათ პირველ დასაწყისი ლოცვები, სიმეოლო სარწმუნოებისა, ათი მცნება და რამოდენიმე ნაწილი საღმრთო ისტორიისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაშიდ სამღვდლოება მათ გვირგვინს არ უკურთხებდა, სანამ არ შეისწავლიდენ ამ აღნიშნულ საგნებს. ამ მშვენიერ განკარგუ-ლებას ყველა სიხარულით მიეგება, ყველა ცდილობდა და სიამოვნებით სწავლობდენ ესრეთ დადებულს საგნებს თავის მოძღვრებთან და ასე მომზადებული მიდიოდენ და შეისრულებდენ ქორწინებას.

დღეს კი, სამწუხაროდ, ამ მშვენიერ დაწე-სებულებათა ხსენებაც-კი აღარსად არის, მოისპო და არც არავინ თხოულობს სასიძოსაგან დღეს ამას. ვინ არის ამის მიზეზი?.. თუ ერთს დროს საჭირო იყო ლოცვების ცოდნა დღეს რატომ არ არის საჭირო ლოცვების ცოდნა ქორწინებაშიდ შემსვლელ უცოდინარ პირთათვის? რამდენი კაცი და ქალი შედიან დღეს ქორწინებაშიდ, რომ არა-ფერი ამგვარები არ გაეგებათ. სირცხვილიცაა და ცოდვაც მართლმადიდებელ ქრისტიანე დედამამი-სათვის პატარა ლოცვები არ იცოდეს რომ თავის მომავალ შვილებს პირჯვარის წერა და ცოტა-რამ ლოცვები ვერ ასწავლოს და სარწმუნოებაზედ ვე-რაფერი უთხრას. სასურველია სამღვდლო და საე-რო პირმა წინანდებულად იტვირთონ და აღასრუ-ლონ ეს კეთილი და მშვენიერი საქმე, რათა მე-ქორწინე პირნი, უმეცარნი ლოცვისა, არ შევიდენ ქორწინებაში.


შესუსტდა და შესწყდა ავრეთვე სვალდებულო სამღვდლოებისაგან სიტყვის თქმა, ქადაგება და გა-ლობა ეკლესიებშიდ. არსად არ ისმის დღეს მე-ტადრე სოფლებშიდ წინანდულად ქადაგების ხმა. ეს ცხადია, რომ ქადაგებას და გალობას ისეთი მნიშვნელობა აქვს, რომ მოყავს მლოცველები სა-სოებაზედ და ამაგრებს მათ სარწმუნოებას. სადაც კარგი გაწყობილი გალობა და ქადაგება არის, იქ მუდამ სავსეა ეკლესიები მლოცველებით კვირა-უქმედლებშიდ.

დგვ. ნიკოლოზ ფრუიძე.



შენიშვნა.

ვბეჭდავთ მამა ნიკოლოზ ფრუიძის სტატიას, მაგრამ მიტომ კი არა, რომ მასი სურვილის აღსრუ-ლება სასარგებლოდ მიგვაჩნდეს. არა, ჩვენ გვინდა პასუხი გავსცეთ როგორც მამა ფრუიძეს ისე სხვებს და დაუმტკიცოთ ყველას, რომ ისეთი ზოზების ხმარება, როგორიც ნეტარხსენებულ ყოვლად



სამღვდელოს გაბრიელს მიაჩნდა, სასარგებლო კი არა დიდი მაგნებელია. ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, როგორც კაცი, სცდებოდა, რადგან ყოველივე საქმეს თვითონ იწყებდა და კიდევ ასრულებდა, ის დარწმუნებული იყო, რომ მისგან განზრახული საქმე უთუოდ სასარგებლო იყო; არავის რჩევა, არავის მოსაზრება არ გადიოდა მასთან ზოგიერთ შემთხვევაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად სანანებლად უხდებოდა თავისი განკარგულების სისრულეში მოყვანა. ბოლოს კი გვიანდა იყო ხოლმე, საქმეს აღარა შევლოდა.

პირველი ორი წლის განმავლობაში მანც ეპარქიაში ნამეტანი უსიამოვნება შეახვედრეს. როცა უკანონობას შენიშნავდა ყოველ ღონეს ხმაობდა მის წინააღმდეგ. საკმაოა მოიგონოს კაცმა ცქიტიშვილი მღვდლის საქმე, ო—პირ წ—ეთლისა და ო—პირ ჩარკვიანი მღვ—სა კვიუ —ს..

ჩვენ ამით კი არ ვამცირებთ ყდ სამღვდელო გაბრიელს, იგი ჩვენს გონებაში ყველაზე მაღლა სდგას, მაგრამ იმისი თქმა არ შეგვიძლია, რომ არაფერში არ სცდებოდა. ის რომ ამისთანა მტკიცე ხასიათის არ ყოფილიყო ვერც არას გაარიგებდა ჩვენს ეპარქიაში..

როგორც მივიღეთ ცირკულიარული მოწერილობა, რომლითაც გვებრძანებოდა, რომ არც ერთ მღვდელს გვირგვინი არ ეკურთხებია სანამ სასიძო ზვიბრად არ წარმოსთქვამდა ეკკლესიაში მოკლე ლოცვებს და ათ მცნებას, მაშინვე ვცახელით და ვსთხოვეთ, რომ ეს ცირკულიარული მიწერილება გაეუქმებინა. ჩვენ კარგად ვგრძნობდით თუ რა სამწუხარო შედეგი მოყვებოდა ამ ბრძანების აღსრულებას. მაგრამ არც ერთი ჩვენი მოსაზრება არ მიიღო მათმა შეუფებამ.

—თქვენ არ წაგიკითხავთ დეკანოზის პოლისადოვის წერილები? გვიბრძანა ყდ სამღვდელო გაბრიელმა.

—მე ვიცნობ მას პირადათაც, მოვასხენე მის მეუფებას, წამიკითხავს კიდევ მისი წერილები, მაგრამ იგი სწერს პეტერბურლის მცხოვრებაათვის და არა სოფლის ბნელეში მყოფ გლეხებაათვის. ხომ მოგხსენებათ. ყდ სამღვდელო გაბრიელი, ისე ხალთასავით სათრევი როდი იყო, როგორც ზოგიერთები არიან, იგი რასაც იტყოდა უთუოდ აღა-

სრულებდა. არც ერთი ჩვენი მოსაზრება ამ ცირკულიარის გაუქმებისთვის არ მიიღო.

გაიარა ერთმა—ორმა თვემ ამ ცირკულიარის გამოცხადების შემდეგ. შეიქნა გაუთავებელი სამღვრავი სამღვდელოებაზე. ერთი ამბობდა: ხუთი მანეთის მაგიერ მღვდელმა გვირგვინის კურთხევისათვის სამი თუმანი გარდამახდევინაო, რადგან ლოცვები და ათი მცნება არ ვიცოდით. მეორე ჩიოდა ხუთი თუმანი გარდამახდევინა მღვდელმა, გირაოდ, რადგან ლოცვები არ ვიცოდი და გთხოვთ უბნძანოთ მღვდელს უკან დამიბრუნოსო. ამისთანა საჩივრები თვით ყდ სამღვდელო გაბრიელს მიართვეს არა ერთი და ორი... მესამე და სხვები კიდევ რას ამბობდნენ ვინ მოსთვლის!..

მოხდა ამისთანა სცენები:

შედის ახალგაზდა სასიძო ეკკლესიაში გვირგვინის საკურთხად, მშვენიერად მორთული, მაგრამ ლოცვები კი არც ერთი არ იცის თურმე. ძლიერ თამამად იქცევა. მოხუცებული მღვდელი ტრაპეზიდან გამოდის და ეუბნება სასიძოს: შვილო, ხომ იცი ახალი განკარგულება? უნდა წარმოსთქვა ლოცვები. ხომ იცი ლოცვები, განსაკუთრებით ათი მცნება?

—ათი მცნება კი არა, მამაო, ოცდა ათი მცნება ვიცი, ეუბნება სასიძო თავმოწონებით მღვდელს. ფიქრობს, იქნება მღვდელმა თავი გაანებოს და აღარ მოაყოლოს ათ მცნებას.

აბა სთქვი შვილო ათი მცნება, ეუბნება მღვდელი სასიძოს. ჩვენ, შვილო, ბრძანება გვაქვს, რომ ჯერეთ ათი მცნება გკითხოთ.

—მიხვდა სასიძო მღვდლის სისუსტეს, გაბედა და უთხრა: მამაო! თქვენ სამოცდა ათი წლის ბრძანდებით და სულ ათ მცნებას კითხულობთ. აბა თუ იტყვით ზვიბრად?

—შვილო, მე კი არ ვთხოვილობ ქალს, შენ თხოვილობ და შენგან ითხოვება ათი მცნების ცოდნა და არა ჩემგან. მე მოხუცებულ კაცს ათი მცნება საიდან მენახსოვრება?

—შენ თუ არ იცი, მამაო, ათი მცნება მე საიდან უნდა დავისწავლო? თუ გვირგვინს არ მიკურთხებ უგვირგვინოდ წავიყვან ამ ქალს და შენ კანტორაში გიჩივლებ და განვაცხადებ, რომ მღვ-

დელი მთხოვს იმისთანა მცნებების ცოდნას, რომელიც თვითონაც არ იცის და უთუოდ დაგიმთხოვენ მღვდლობისაგან.

საგარდა ჩაწყალი მღვდელი საგონებელში და უკუტობა გვირგვინი!..

ამ მღვდელს ესტუმრა ერთხელ დიდ მარხვაში ეპისკოპოსი გაბრიელი. მეორე დღე იყო ოთხშაბათი. ყდ სამღვდლომ კითხა ამ მღვდელს. შეგიძლია თუ არა ხვალ სწირო?

— როგორ არა, ბატონო, მოვემზადები და ვსწირავ, მოახსენა.

ტარიგი გაქვს შენახული? ჰკითხა ყდ სამღვდლომ?

— ამაღამ გავაკეთებებ, ბატონო, სეფისკვერს, მოახსენა.

მიხვდ ყდ სამღვდლო, რომ მღვდელმა არ იცოდა პირველ შეწირულის წირვა და აღარა უთხრა რა.

ბევრი საჩივრები შევიდა სინოდის კანტორაში სამღვდლოებაზე და ბოლოს იძულებული შეიქნა თვით გაბრიელიც გაეუქმებინა ეს განკარგულება.

მამა ნიკოლოზი თითქმის ნანობს, რომ დღესეც არ არსებობს ის წესი რაც ერთხელ მოიშორა თავიდან სამწყსომ. არა, პატივცემულნო მამანო, და ძმანო! ცირკურიალური ბრძანებით არ შეიძლება დამწყსვა თავის სულიერ შვილთა. უმთავრესი მოვალეობა მოძღვრისა არის საიდუმლოები შეასრულოს, დამწყსოს მრევლი და ასწავლოს. საიდუმლო მღვდელ მოქმედებათა ასრულებს და წირავს, მაგრამ რაიცა შეეხება დამწყსვას და სწავლებას ამის კი რა მოგახსენოთ. მთელი დღე რომ დარჩეს „სულის საქმეებზე“ მრევლში შეკრებილ ხალხთან კონტს არ დასძრავს ხალხის დამწყსვის და სწავლის შესახებ. ხალხთან ერთად გულს მოდგინედ სწევს ყალიონს, პაპიროზს, ხუმრობს და დროებას ატარებს ერთად თავიანთ სამწყსოთან. რაიცა შეეხება დამწყსვას და სწავლებას ამაზედ სრულებით არ ფიქრობს. მართალია ყველა სამღვდლო პირთაგან არ შეგვიძლია მოვითხოვოთ ქადაგება და სწავლება, რადგან ზოგიერთი მათგანი არ არიან მომზადებულნი, მაგრამ ყველას უნდა შეეძლოს

დაბეჭდილის წაკითხვა. განა დღეს ცოტა მოიპოვება დაბეჭდილი წიგნები და წიგნაკები და აგრეთვე სასულიერო ჟურნალები, რომელთა წაკითხვა და გაგება დიდ სარგებლობას მოუტანს სამწყსოს? ვილაცა უვიცი ბიჭები დადიან, დააქეთ წიგნები, ავრცელებენ ხალხში, უკითხავენ ხალხს და მღვდელმა სულიერმა მოძღვარმა-კი სრულებით არ იცის არც ერთი ამისთანა, ხშირად უკუღმართი, შინაარსის წიგნები. განა ცოტაა ამ წიგნაკების საპასუხო წიგნაკები და წერილები? იტყვის ზოგიერთი: ფულები არა აქვს და როგორ მოიპოვოს? მაგრამ ეს დასაჯერი არ არის. ფულების უქონლობა კი არ უშლის მღვდელს თავის მოვალეობის აღსრულებას, არა, პირველი მიზეზია ზარმაცობა, დაუდევრობა და უცოდინარობა. მოძღვარი სანთელივით უნდა ანათებდეს მთელს მის სამრევლოში და რით გაანათებს, როდესაც ყოველ გასანათლებელ საშუალებას უარს ყოფს და ხელს არ კიდებს?

ნახეთ, დაკვირდით ხალხს, რომელი სარწმუნოებისაც გინდათ. რა მტკიცეთ, რა რიგიანად ასრულებს ლოცვას და ღვთის ვედრებას. ვისგან აქვს ნასწავლი მათ ესე ყოველივე? მათ მოძღვართაგან. ქორწინების შესრულების დროს კი არ კითხვენ მათ ამ ლოცვების ზეპირად წაკითხვას? არა, თავისუფალ დროს სახლში ან ეკლესიაში. ეხლა გვეტყვის ზოგიერთი ჩვენი თანამოძმენი: როგორ დავმწყსოთ ჩვენი მრევლნი და როგორ ვასწავლოთ, როდესაც ეკლესიაში აღარ დაიარებიან? დიად, ეს არის ჩვენი უბედურება კიდევ. ჩვენის უპატრონობით, დაუდევრობით და დამუნჯებით აქნობამდისინ მივალწიეთ და თუ დიდხანს გაგრძელდა ჩვენი ესეთი მდგომარეობა უარეს უნდა მოველოდეთ კიდევ...

რაიცა შეეხება ქადაგების და გალობის მოსპობას ეკლესიებში—ამაზე შემდგენისათვის ვიტყვით.

რედ. დ. დ. დ—ძე.



Handwritten mark or signature at the bottom right.

სიკვდილი.

ჰი, სიკვდილო,
სიკვდილო!
ვინ არს ძლიერი
და კადნიერი,
რომ შეგებრძოლოს,
გარე გისროლოს:
ვითა სიმწარე,
სიმწარე?!.

—

შენ ხარ მოვლენა,
რომლისაც ენა
დიდად მრისხანებს,
ყველას უცხადებს
ღვთისა ნებასა,
განჩინებასა...
არვის იბრალე,
არვის იწყალე:
არცა მშობელთა,
კრემლისა მღვრელთა;
არც მათსა გულსა,
მთლად გაგმირულსა;
არცა მოხუცსა მოხრილსა,
არც ახოვანსა ყმაწვილსა.

ყველას ახსოვდეს,
წინა უძლოდეს
ქეშმარიტება,
ცნობა-შეგნება:
თვინიერ ღვთისა,
ტკბილ მაცხოვრისა,
ვერვინ იგემებს,
ვერც აიშენებს—
ზენა სივრცეში,
მიუწუთომელში—
მშვიდ ცხოვრებასა,
ნეტარებასა—
ვერც გენიოზი,
პაზრით გოროზი;
ვერც მეცნიერი,
სწავლით ძლიერი;
ვერცა მდიდარი,
ვერცხლით მაძლარი;
ვერც დაჩაგრლი,
ვერც წამებული.

—

თვით მაცხოვარი,
რომლისაც ზვარი
გვიჭირავს ხელში
ამა სოფელში,
ამას გვასწავებს,
ამაზე სწამებს:

შენი ხელითა,
ვითა ცელითა,
იმკის ყოველი,
რაც არს ცხოველი...
ხრწნადი სხეული,
მოშორებული
ჰაერსა, მზესა, მთვარესა,
ედღევა ცივ სამარესა;

—

ხოლო სული,
დაჩაგრული,
მიღის,
ილტვის
იმ ქვეყანას,
სადაც რომ არს
სუფევა ღვთისა
დიდ მაცხოვრისა.

„მე ვარ ცხოვრება,
ქეშმარიტება“...
აი ნუგეში
იმ სიმწარეში,
რომელსაც ვგემობთ,
ვწუხვართ და ვამობთ...

თუნდა დიდება,
თუნდა ღირსება
ამა ქვეყნისა,
ვითა ხრწნადისა,
სულ ამაოა,
სულ საბრალოა,
თუ სული ჩვენი
არ არს საჩენი
წინაშე ღვთისა,
შემოქმედისა,
სარწმუნოებით
და სასოებით,
ძმათ სიყვარულით
და წმინდა გულით.

—

უკვდავი სული,
მათით შემკული,
ყვავილოვანობს,
სუნნელოვანობს
ზეცის ედემში,
დიდ მშვენიერში,

იგი აქ ხარობს,
მარად ნეტარობს...
თავხედი სული,
მათ მოკრებული,
ვით უვარგისი,
ტანჯვისა ღირსი,—
ღვთის მრისხანებით,
მის განჩინებით,—
არს განგდებული,
გაძევებული
ადგიდსა ბნელსა,
სადგურსა ძნელსა:
აქ იგი სული,
უკუ-გდებული,
სწვნევს დიდ შიმშილსა,
მწარე ტირილსა...

—

ასეთ ხვედრისგან,
ასეთ ბედისგან
გვისხენ, უფალო,
ზენაო ძალო,

მოგვეც რწმუნება
და სასოება;
სიყვარული,
წმინდა გული;
მრთელი გონება,
კეთილი ნება,
რათა ვიცნოთ
და შევიგნოთ
შენი არსება,
შენი ღირსება—
შენ გემსახუროთ,
შენვე გადილოთ
კეთილ-ცხოვრებით
და სიტკბოებით;
ყურადა-ვილოთ,
არ განგარისხოთ
უმეცრებითა,
ბოროტებითა...

ი. ბაღუევი.

ნეკროლოგი.

† სამსონ სიმონის-ძე ქუთათელაძე ხონის ნატარეუსი.

ამ დღეებში გარდაიცვალა დ. ხონის ნატარეუსი სამსონ სიმონის-ძე ქუთათელაძე. სამსონ ქუთათელაძემ შეასრულა ქ. სასულიერო სასწავლებელი 1857 წელში და ტფილისის სასულიერო სემინარია 1862 წელში. სემინარიის კურსის გათავების შემდეგ იგი დანიშნული იყო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან საეპარქიო კანცელარიის მდივნად და კარგა ხანი დაჰყო გაბრიელთან ამ თანამდებობაზე. შემდეგ ს. ქუთათელაძისა აღარ ღირსება იმ კანცელარიას ისეთი სინიდიისიერი მდივანი როგორც იყო განსვენებული სამსონ ქუთათელაძე. უკანასკნელ ხანებში ვერ აიტანა ზოგიერთ

პირთა უკანონოდ დაგვრა და თვითონ მიანება თავი საეპარქიო კანცელარიაში სამსახურს. შემდეგ ქუთათელაძისა ყ-დ სამღვდელთა მიიწვია მდივნად ჩარკვიანი, მაგრამ იგი მალე გამოეთხოვა ამ წუთისოფელს,—მან ყელი გამოიჭრა სამართებლით. შემდეგ ჩარკვიანისა დაინიშნა აზ. თ. გ. ლეჟავა, მაგრამ ამის მსახურების დროს კანცელარიის საქმეები სულ აირ-დაირია, რადგან ლეჟავა ავადმყოფი კაცი იყო და მუშაობა არ შეეძლო. ლეჟავას შემდეგ მდივნად დაინიშნა ე. მჭედლიძე, მაგრამ იგი ერთი წელიწადი არ გასულა მოკლეს ქუთაისში. დაწვლილებით რომ გამოიკვლიოს კაცმა ჩვენი სასულიერო კანცელარიის მდივნების ცხოვრება და „მოღვაწეობა“ გასაშტერებელ ამბებს შეიტყობს... დიახ, ყველა სამღვდლოება დიდის პატივის ცემით მოიხსენებს იმ დროს როცა განსვენებული ს. ქუთათელაძე მსახურებდა სასულიერო უწყებაში. განსვენებულს უყვარდა მწყნარი ცხოვრება და იმ სამარცხვ-ნო ზომებს არ ხმარობდა კარგი შემოსავლიანი ადგილის საძებნად, რასაც ყოველი უღირსი კაცი ხმარობს, თორემ იმას მშვენიერად და პატიოსნად შეეძლო დიდი საპატიო ადგილის დაჭერა. სამსონის დაუკითხავად თავის შესამჩნევ საქმეს არავინ არ დაიწყებდა და ბევრი კაცი დაუხსნია მის კათილ რჩევას უბედურებისაგან. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი პატიოსანო კაცო სამსონ.

ღ ღ ღ.

შურნალ-გაზეთებიდან


კამათი საეკლესიო სკოლებზე.

კაპუსტინი მოახსენებს სათათბიროს, რომ მთავრობა მოითხოვს სინოდისათვის 4.003.740 მანეთს საეკლესიო სამრევლო სკოლების საჭიროებაზეო. ჩაეწერა 87 ორატორი. კაპუსტინი აღნიშნავს, რომ ამ ჟამად ამ კანონპროექტის არსებითად განხილვა

კი არაა საჭირო, არამედ მისი გადაცემა კომისიისათვის და ამიტომ ამდენი ორატორი რა საჭიროაო? მილიუკოვი წინადადებას იძლევა, სხდომა შეესწყვიტოთ და თითოეულმა ფრაქციამ თითონ ორ-ორი ორატორი წარმოადგინოსო. წინადადება მიღებულ იქმნა. ფრაქციები შეთანხმდნენ და წამოაყენეს 16 ორატორი.

გოგინავა (კ.-დ.) ნორმალურ და სამწუხარო მოვლენად სთვლის იმ გარემოებას, რომ სახალხო სკოლა ამ ჟამად ორ უწყების ხელშია. „ახლა, როცა მუშავდება პროექტი საყოველთაო პირველ დაწყებით სწავლების შემოღების შესახებ, არავითარი საფუძველი აღარაა სახალხო სკოლის გამგებლობა ორს უწყებაში დარჩეს. რასაკვირველია, სახალხო განათლების საქმეში კერძო ინიციატივას ფართო ასპარეზი უნდა დაეთმოს. კერძო პირთ, საზოგადოებათ, წოდებათ და მათ შორის სამღვდლოებასაც უნდა მიეცეს ნება სკოლების გახსნისა; მაგრამ სახელმწიფო სკოლა ერთი უნდა იყოს და საერო განათლების სამინისტროს უნდა ექვემდებარებოდეს. საეკლესიო-სამრევლო სკოლამ თავიდანვე, რუსეთში, ბრძოლა გამოუტხადა საერო სკოლას. ეს მავნებელია სწავლაც განათლების საქმეში. გარდა ამისა საეკლესიო სკოლა უფრო ძვირიც ჯდება. ამ მოსაზრებათაგამო კ.-დ. ფრაქცია წინააღმდეგია კანონპროექტისა“ (ტაშისცემა).

თავმჯდომარე აცხადებს, რომ 16 ორატორს სამი კიდევ მიემატაო, რომელნიც მემარჯვენეებმა წამოაყენესო დამატებით. მილიუკოვი, უვაროვი და კრუპენსკი პროტესტს აცხადებენ ფრაქციათა შეთანხმების დარღვევის წინააღმდეგ. მარკოვი მე-2 აცხადებს. თუმცა სათათბირომ მოიწონა პოლიციური ზომები და სიტყვის თავისუფლება შეზღუდაო, მემარჯვენენი ამას ვერ დაემორჩილებიან და თავის მხრით ხუთ ორატორს წამოაყენებენო. გეგეკორი შენიშნავს, რომ რადგან მემარჯვენენი მოითხოვენ სიტყვის თავისუფლებას, ს.-დ უარსჰყოფენ წინანდელ შეთანხმებასაო. ფრაქციათა შე-



თანხმება ორატორთა რაოდენობაზე ირღვევა და სათათბირო განაგრძობს კამათს.

ეპისკ. მიტროფან ალნიშნავს საეკლესიო სკოლის ღვაწლს და ამტკიცებს, რომ მას ხალხის სიყვარული აქვს მოპოებულიო. ამით აიხსნება ამ სკოლების დიდი გავრცელება რუსეთში (ერთი მესამედი სახალხო სკოლებისა საეკლესიო სამრევლოაო) და ის გარემოება, რომ სკოლებს ბევრი შემოწირულება შემოუდის ხოლმერ. მიუხედავად დიდის ღვაწლისა და ნაყოფიერ შრომისა საეკლესიო სკოლას დაუძინებლად სდევნის ლიბერალური პრესსა, რომელსაც მიზნად აქვს სამღვდელოების გავლენა მოაშოროს ხალხსაო. ამბობენ, სახელმწიფო სახალხო სკოლა ერთიანი უნდა იყოსო. ჩემის ფიქრით-კი იგი სხვა და სხვა უნდა იყოს, რადგან სხვა და სხვაობაშია სიცოცხლე და განვითარების გარანტიაო. გარდა ამისა, რუსული საეკლესიო სკოლა საუკეთესო იარაღია განაპირა ქვეყნებში ინოროდცებთან საბრძოლველადო. მიიღეთ მხედველობაში ყველა ეს გარემოება და დაიცავით საეკლესიო სკოლა ეკლესიის მოძულეთა თვდასხმისაგანაო (ტაშის ცემა მარჯვნივ).

ეფრემოვი ამბობს. რომ საეკლესიო სკოლა სასარგებლო მაშინ იქნება მხოლოდ, როცა თვით საეკლესიო წყობილებაში მოხდება რეფორმები, როცა გაჩნდება თავისუფალი და თვითმომკმედი სამრევლო ორგანიზაცია, როცა სკოლის გამგებელად სინოდი და ეპარქიალური მთავრობა-კი არ იქნებიან, არამედ თვითმმართველი მრევლიო. მანამდის-კი პროგრესიული ფრაქცია საეკლესიო სკოლას მხარს ვერ დაუჭერსო.

ინგლისი და ინდოეთი.

22 ოქტომბერს ლონდონში გამოაცხადეს მეტად საინტერესო მანიფესტი ინგლისის მეფისა ინდოეთის ერებისადმი. 23 ოქტომბერს ესევე მანიფესტი ინგლისის მეფის მოადგილემ გამოაცხადა თვით ინდოეთში. სწორედ 50 წლის წინად ინგლისის დედოფალმა ვიქტორიამ ამნაირივე მანიფესტით მიმართა ინდოელებს. მაშინ ის ის იყო დათრგუნეს ძლიერი აჯანყება, რომლის დროს მოხდა

დიდი სისხლის ღვრა. დედოფალი ვიქტორია მანიფესტით დაჰპირდა ინდოეთის ხალხს: ამნისტიას, სარწმუნოების სრულს თავისუფლებას, სამართლიან სამსაჯულოს, სკოლებს, ადგილობრივ ჩვეულებათა და ენების ხელუხლებლობას. ინგლისის მთავრობა, როგორც ყველა სხვა მთავრობაც, რეფორმებს მხოლოდ მაშინა სთანხმდება, როცა ხალხი იძულებულ ჰყოფს; მაგრამ თუ-კი დაჰპირდება, უსათუოდ ასრულებს კიდევ თავის დაპირებას. ხალხის მოტყუება მეტად საზარალო საქმედ მიაჩნია, ვნახოთ, რა გააკეთა ინგლისმა ინდოეთში. 50 წელმა განვლო აჯანყების შემდეგ. ინდოელებს ამ ჟამად აქვთ პირუთვნელი, დამოუკიდებელი სასამართლო და ნამდვილი თავისუფლება სინიდისისა, ბექდვისა, კრებისა, კავშირებისა და მოძრაობისა. არავითარი პასპორტი და ბილეთი არაა საჭირო ინდოეთში მოსვლისა, იქილამ გასვლისა და იქ ცხოვრებისათვის. ინგლისი პატივისცემით ეკიდება ადგილობრივ ენებს. ქალაქებში ყველგან გახსნილია საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები, ხოლო სოფლებში—პირველ-დაწყებითი სკოლები, სადაც სწავლება ადგილობრივ ენებზე სწარმოებს. მმართველობა ინდოეთში ისევ ბიუროკრატიულია, კარგად გაზრდილი, ემორჩილება კანონებს და გონება რადი აქვს დაბნეული თავის უსაზღვრო ძლიერებისაგან. ინდოეთის საქმეებს უმაღლეს კანტროლს უწევს პარლამენტი, რომლის წინაშე პასუხს აგებს მეფის მოადგილე. გაიარა 25 წელიწადმა და მე-80 წლების ნახევრიდან ინდოეთში დაიწყო მოძრაობა, რომელიც გავრცელდა მხოლოდ საშუალო კლასებში, ეგაა, რომ სამაგიეროდ მან გაიტაცა ყველა იმ სარწმუნოების მიმდევარნი, რომელიც წინად ემტერებოდნენ ერთმანეთს. ბუდისტები, ბრამინისტები, ფარსები და მაჰმადიანობა შეერთდნენ ერთს მოძრაობაში, რომლის მიზანი იყო პოლიტიკური თვითმართველობა.

„ევროპის ყველა სახელმწიფომ, რომელსაც სამფლობელო აქვს აღმოსავლეთში, უნდა ანგარიში გაუწიოს ახალს მოძრაობას, რომელიც დაიწყო იქა,—ამბობს ინგლისელი ვინინგტონი.—იპონიის სწრაფი განვითარება, ჩინეთის გაღვიძება, რევოლიუცია ოსმალეთში—ყველა ეს მეტად სერიოზული ფაქტებია, რომლებსაც ბრმა თუ არ დაი-

ნახავს. ეჭვი არაა, რომ ეს ახალი მოძრაობა მოედო ინდოეთსაც“.

ამასვე ამბობს ჰუნგრელი მეცნიერი ვამბური: „თუ ევროპელებს არ უნდათ თავიანთ კოლონიების დაკარგვა აღმოსავლეთში, უთუოდ ხელი უნდა აიღონ მმართველობის ძველ წესებზე“.

და აი ეხლა ჩვენ ვხედავთ, რომ ახლად გამოცემულს მანიფესტში ინგლისი უკვე ანგარიშს უწყევს ამ ახალს მოძრაობას. მეფე მართალია იმუქრება, რომ ყოველი შეთქმულობა „ძლიერის ხელით იქნება მოსპობილი“, მაგრამ ამავე დროს ჰპირდება ინდოელებს: ამნისტიასა და წარმომადგენლობით მმართველობას. წარმომადგენლობით მმართველობის პროექტს მალე წარადგენს პარლამენტში ინდოეთის საქმეთა მინისტრი ჯონ მორლეი.

ჩინეთის იმპერატორის და ქვრივ დედოფლის გარდაცვალება.

ამ დღეებში გარდაიცვალნენ ჯერ ჩინეთის იმპერატორი და მერე, რამდენისამე დღის შემდეგ, მისი დეიდა ქვრივი დედოფალი. „რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ პეკინიდან: ქვრივ-დედოფლის გარდაცვალებამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე ბრძანება გამოსცეს, რომ სამს წელიწადს უნდა იგლოვონ დედოფალი. მტკიცედ ასრულებენ სასახლის ძველებულ წესებს. დედოფალი მოულოდნელად გარდაიცვალა იმავე ოთახში, რომელშიაც გარდაიცვალა იმპერატორი. გარდაცვალების დამსწრენი რამდენსამე ნაბიჯზე იდგნენ, მაგრამ მის წმინდა გვამის პატივისცემით ვერ მიუახლოვდნენ.

გარდაცვალებული იმპერატორი იყო გულკეთილი და სათნოიანი კაცი და მომხრე რეფორმებისა, მაგრამ ამავე დროს რბილი ხასიათისა. მიშა დეიდამ ამ 10-ოდე წლის წინად იგი ავადმყოფად გამოაცხადა და თითონ შეუდგა ჩინეთის საქმეთა მმართველობას. ქვრივი დედოფალი იყო მეტად ნიჭიერი, გამჭრიახე და მაგარი ხასიათისა. სამაგიეროდ იგი იყო უკიდურესი რეაქციონერი და დიდი წინააღმდეგი რეფორმებისა; ბოლოს დროს იგი შეიქნა ნამდვილი სულთა-მხუთავი ჩინეთის განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის. ჩინელმა პროგრესისტებმა რამდენჯერმე განიზრახა მისი მოკვლა.


ჩინეთის რეგენტად იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ თითონ ქვრივმა დედოფალმა დანიშნა პრინცი ჩუნი. „რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ პეკინიდან, რომ რეგენტი გულწრფელად აპირებს რეფორმების შემოღებას, მაგრამ იგი არ ითვლება ძლიერ კაცად. პროვინცია ჩილის (პეკინის პროვინციაა) ჯარის უფროსობა ასეა განაწილებული: ერთი დივიზია დაუმორჩილეს თითონ ტახტს, ორს დივიზიას უფროსობს სამხედრო მინისტრი ტელიანი, დიდი მოწინააღმდეგე იუან-შიკაისა. ამის გამო რეგენტი ჩუნი ვეღარ მიიშობს იუან-შიკაის.

ჩინელ რევოლიუციონერებში ხმა დადის, რომ ზოგიერთი მათი მეთაური პეკინში დაბრუნდება.

პეკინში უცხო სახელმწიფოთა საელჩოებს იცავენ თავ-თავიანთივე ჯარები. ინგლისის საელჩოს მოდარაჯე რაზმს მოუმატეს 50 ჯარის-კაცი ტიანძინიდან.

გურია. ამას წინად ქ. ოზურგეთში მომხდარ სოფლეს მასწავლებელთა კრებამ ერთხმად დაადგინა, აკაკის 50 წლის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავად 30 ნოემბერს სკოლებში გაიმართოს საიუბილეო დღესასწაულები. ამასთან, როგორც ვიცით, კრებამ დაავალა მასწავლებლებს, სადღესასწაულო პროგრამის შედგენის დროს სოფლებიც მიიწვიონ და იმეცადინონ, რომ დღესასწაულს რაც შეიძლება მეტი სოფლელი დაესწროს.

ორს ნოემბერს, ადგილობრივ მასწავლებელთა ინიციატორობით მოწვეულ იქნენ საზოგადოების „შეგნებული“ ელემენტები, რათა ამ უკანასკნელებს დახმარება გაეწიათ პროგრამის შემუშავებაში. როცა მოწვეულთა საკმაო რიცხვი მოგროვდა, მასწავლებლებმა გააწყნეს მოსულთ რისთვის იყვნენ მოწვეულნი. ვფიქრობდით, რომ ჩვენი „შეგნებული“ ვაჟბატონები, რომელნიც „მოწინავედ“ ითვლებიან და თავი ქვეყნის მოთავედ მოაქვთ, ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს მხარს არ აუხვევდნენ მაგრამ მოვტყუვდით. მაშინვე ასტყდა ჩვეულებრივი შეხლა-შემოხლა. უმცირესობა ამტკიცებდა დღესასწაულში მონაწილეობის მიღების აუცილებლობას დიდი უმრავლესობა კი წინააღმ-



დეგი გახდა. ისინი გაიძახოდნენ, ეხლა ხალხი სხვა მხრით იცქირება და ასეთს უმნიშვნელო რამეზე თავს ვერ აიტკიებსო. ჩვენ არ შეგვიძლია უთხრათ ხალხს, დღესასწაულებში მონაწილეობა მიიღოს, სანამ საიდანაც იქნება საჭირო „ცნობებს“ არ მივიღებთო.


„შეგნებულთა“ დემაგოგიურმა ქამანდებმა გასქრა და თათბირმა უნაყოფოდ ჩაიარა. მაგრამ დაინტერესებული პირები იმედს მაინც არა ჰკარგავენ და სკდილობენ ყოველივე ღონე იხმარონ დღესასწაულზე ხალხის მისაზიდავად.

ინგლისელების წერილი.

„ტაიმს“-ში დაიბეჭდა წერილი, რომელსაც ხელს აწერენ ბომბეის (ინდოეთშია) გუბერნატორად ნამყოფი ლორდ ლემინგტონი და ინგლისის პარლამენტის ორი წევრი. ავტორები ამტკიცებენ, რომ თუ გინდა, რომ რუსეთისა და ინგლისის პოლიტიკა სპარსეთში ერთნაირი და შეფარდებული იყოს, აუცილებლად საჭიროა, რომ რუსეთმა რაც შეიძლება მალე მოუღოს ბოლო მოქმედებას თავის ქვეშევრდომებისა და წარმომადგენლებისას, რომლებიც ემხრობიან სპარსელ რეაქციონერებს. საქმე და მდგომარეობა ადერბეიჯანში ჯერაც საშიშია, მაგრამ იგი უფრო გართულდება, რუსეთმა რომ ჯარი გაგზავნოს თავრიზში. ვაჭროფას აფერხებენ თითონ შაჰის ჯარები, ხოლო კონსტიტუციონალისტებმა თავრიზში სულაც არ გამოიჩინეს პოლიტიკური უნიკობა და იქ სრული წესიერება აღადგინეს. დიდი უბედურება იქნება სპარსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის, ადერბეიჯანი რომ უცხოეთის ჯარმა დაიჭიროს; სპარსეთის ხალხი მალე დაიბრუნებს თავის კონსტიტუციონალურ უფლებას, თუ სხვა სახელმწიფოები თავს დაანებებენ და მის საქმეში არ ჩაერვიან. თუ სპარსეთის რეფორმების საქმე მარცხით დასრულდება,—ეს უთანხმოებასა და უსიამოვნებას გამოიწვევს ინგლისსა და რუსეთს შორის. წერილის ავტორები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ შემთხვევაში ინგლისის ერთი უარს ჰყოფს რუსეთთან შეთანხმებასაო.

ახმედ-რიზა ჯანდონში

ამ ქამად ლონდონში იმყოფება ახალ-ვახდა ოსმალთა მეთაური ახმედ-რიზა, რომელიც იქ მივიდა იმ აზრით, რომ ინგლისის პოლიტიკურ მოღვაწეებს გააცნოს ოსმალეთის კონსტიტუციონური მოძრაობა. ახმედ-რიზას სხვათა შორის შემდეგი უთქვამს „დეილი ნუს“-ის თანამშრომლისთვის: „ვერობისგან ჩვენ, ოსმალები, მხოლოდ იმას ვთხოულობთ, რომ თავი დაგვანებონ ხუთი წლით მაინც, დაგვატადონ, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი შინაგანი საქმეები მოვაწესრიგოთ, და შემდეგ განსაჯეთ, გვაქვს შნო და ნიჭი დამოუკიდებელ სახელმწიფო ცხოვრებისა, თუ არა. პარლამენტი არჩეულ იქნება ოთხი წლით. მის შრომის ნაყოფის მიხედვით განგვსაჯეთ. ჯერ-ჯერობით ჩვენ დიდი მადლობელი ვართ ინგლისისა, საფრანგეთისა და აგრეთვე რუსეთისა. ჩვენ ვიცით, რომ ინგლისში ჩვენ ძლიერ თანაგვიგრძობენ.“



ახალი ამბები და შენიშვნები.

* * აკაკი წერეთლის საიუბილეო კომიტეტმა საიუბილეო დღესასწაულება 30 ნოემბრიდან 7 დეკემბრისათვის გადასდო. მიზეზი ის არის, რომ 30 ნოემბერს მოხდება ახალ ქართულ თეატრის გახსნა და კურთხევა.

* * სურათი და ლექსთა კრებული. აკაკის საიუბილეო კომიტეტს პროვინციის კომიტეტებისაგან მრავალი წერილები მოხდის. თხოულობენ პროგრამას საიუბილეო დღესასწაულისას, სურათებს და ლექსთა კრებულს. მთავარ კომიტეტის გადაწყვეტილებით, მგონის აკაკის სურათების გაკე-

თება შეუკვეთეს სამხედრო შტაბის ლიტოგრაფიას; აგრეთვე იბეჭდება ლექსთა კრებული და ამ თვის ბოლო რიცხვებისათვის დაეგზავნება ადგილობრივ კომიტეტებს ხალხში გასაერცვლებლად. პროგრამები უკვე დაეგზავნათ კომიტეტებს. შინარსი ბროგრამისა გაზეთებშიაც იყო მოთავსებული, სხვათა შორის მთავარმა კომიტეტმა გადასწყვიტა გამოსცეს კრებული, რომელშიაც მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა წერილები, მოგონებანი, მგოსნის ნაწერების შესახებ კრიტიკული სტატიები და სხვა. რადგან აღნიშნულ კრებულისათვის კომიტეტს ჯერ მასალა არ მიუღია, ამიტომ მან განმეორებით მიმართა მწერლებს, ლიტერატორებს და საზოგადო მოღვაწეებს, დააჩქარონ მასალის წარდგენა,

* * * ნოემბერს ტფ. პოლიციამ დააბატონრა მწერალი ქალი ნინო ნაკაშიძე, რომელსაც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გადაწყვეტილი ჰქონია ვიატკის გუბერნიაში გადასახლება.

* * * პეტერბურგიდან ცნობა მოვიდა, რომ იმ კრებას, რომელსაც თათბირი ჰქონდა ტარიფის დაკლების შესახებ ქიათურის შტოზე დიდის უმრავლესობით გადასწყვიტა ტარიფის დაკლების საჭიროება. წინააღმდეგნი ყოფილან ნიკოპოლის შავი ქვის მწარმოებელთა და რკინის გზის წარმომადგენელნი. კრების დადგენილება გადაეცემა სატარიფო კომიტეტს, რომელზედაც დამოკიდებულია საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა.

* * * 3 ნოემბერს სტამბოლში გაჩნდა ცეცხლი და დაიწვა სასახლე, რომელიც ხონთქარმა აჩუქა შეიხ-ულ-ისლამს. ცეცხლში დაიღუპა შეიხ-ულ-ისლამის ვაჟი-შვილი.

* * * ახალგაზდა ოსმალთა მეთაურს ახმედ-რიზას შეაძლიეს გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობა. მაგრამ მან უარი სთქვა.

* * * ახალგაზდა ოსმალები აცხადებენ პროტესტს და თხოულობენ, რომ სულთანს არ უნდა ჰქონდეს უფლება ორდენების ბოძებისაო.

* * * გამოვიდა ოცდა მეექვსე გამოცემა ი. გოგებაშვილის „დედა-ენის“ პირველი ნაწილისა: მთავრები დაკლებულია.

* * * სერბიელმა ურიებმა მოწოდებით მიმართეს მთელის ქვეყნიერობის ურიებს და სთხოვეს წინააღმდეგით და პროტესტი განაცადეთ, ძლიერ მტრის—ავსტრიის გამარჯვების წინააღმდეგო. მოწოდებაში ნათქვამია: „სერბიის ურიები იპიტომ თანაუგრძნობენ ასე გულწრფელად სერბიას და სწყინთ მისი უბედურება, რომ სერბიაში ურიებს უკვე 500 წელიწადია მინიჭებული აქვთ ყველა უფლება და თავისუფლების ყოველი სიკეთე. ჩვენ არ შეგვიძლიან არ ვიგრძნოთ სერბიის ერის ტანჯვა და გვედრებით, ძმებო, თანაგრძნობა გაუწიოთ სერბიას. ამას მოითხოვს ჩვენი მოვალეობა სერბიის წინაშე, ამას მოითხოვს ადამიანური გრძნობა, გვწამს, რომ ჩვენი მოწოდება არ დარჩება ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

* * * 1 ნოემბერს პოლიციამ პეტერბურგში ჩაშალა მშენიერად მოწყობილი ექსპროპრიაცია. 1 ნოემბერს ობუხოვის და ნევის ქარხნების მეარტელეს უნდა მიეტანათ ქარხნებში 100,000 მან. პოლიციამ წინა-წინვე ზომები მიიღო. იმ ქუჩებზე, საითაც მეარტელეებს უნდა გაეარათ, აუარებელი გადაცმული პოლიციელები ირეოდნენ. პოლიციელებმა შენიშნეს, რომ რამდენიმე ყაწვილი კაცი ერთმანეთს რაღაცას ანიშნებდნენ. ამასთან ერთი სახლის წინ ორი ეტლი იყო რომლებსაც აგრეთვე ეს ყაწვილები ელაპარაკებოდნენ. როდესაც მეარტელეები გამოჩნდნენ, უცნობნი ერთად შეგროვდნენ და მეეტლეებიც მოემზადნენ. ყველაფერი მზად იყო, მაგრამ ამ დროს გადაცმული პოლიციელები რევოლვერებით ხელში გარს შემოფრტყნენ და ყველანი დაიჭირეს. ბოროტგანმზრახველებს ჯიბეში რევოლვერები აღმოაჩნდათ. პოლიციაში მათ თავიანთი ვინაობა არ განაცხადეს.

* * * როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუწყვეტია სახელმწიფო სათათბიროში მილიუკოვის მიერ ნათქვამი სიტყვა 9 ნოემბრის კანონის შესახებ აღკრძალოს რომ გლახებს შორის არ გავრცელდეს. იმ გაზეთების ნომრებს, სადაც დაიბეჭდა მილიუკოვის სიტყვა. აღკრძალავენ.

* * არხანგელსკში საიდუმლო პოლიციის აგენტებს აღმოუჩენიათ სოციალ-რევოლიუციონერების სტამბა. სტამბა მშვენივრად ყოფილა მოწყობილი. შეუპყრიათ ოთხი კაცი.

* * როგორც გაზეთის მკითხველებს მოეხსენებათ, სარატოვის სარევიზიოდ გაემგზავრება შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე მარკოვი და სინოდის ობერპროკურორის თანაშემწე. ამათ უნდა გამოეძიებიათ ცნობილ ბერის ილიოდორეს მოღვაწეობა. რევიზია იმ დასკვნამდე მისულა, რომ ილიოდორე სულით ავადმყოფიაო. ილიოდორეს მფარველი ეპისკოპოსი გერმოგენი რიაზანში გადაჰყავს. სარატოვის გუბერნატორი თანამდებობას თავს ანებებს.

* * ერთმა ვილაცა ურიის სავაჭრო სახლმა ლევიტას სახელით მოტყუებით ჩაიჭირა მრავალი პირები შორაპნის მაზრისა. ერთ ორს გამოუგზავნა ხუთ მანეთში თუთხმეტა მანეთის საღირალი და ეხლა სამასს უგზავნის თუთხმეტ მანეთში ოთხი მანეთის დამბალ საქონელს. საკვირველია, რომ გაზეთები საწყალი ხალხის მოტყუებას არ აქცევენ ყურადღებას..

* * წესი საიუბილეო დღესასწაულისა. აკაკის მთავარმა საიუბილეო კომიტეტმა საბოლოოდ შეიმუშავა წესი საიუბილეო დღესასწაულისა. აი, ეს წესი: 1. 7 დეკემბერს, დილის ათ საათზედ, აკაკის ბინაზე მოვლენ პატივის მკენელნი და ამქრები ბაირალებითა და საეროვნო მუსიკით. 10 ნახევარ საათზედ აკაკი ორის დამსახურებულ მწერლის თანხლებით საგანგებო ეტლით გაემგზავრება სიონის ტაძარში. ამქრები, ბოწაფენი და სხვა პატივისმცემელნი ქუჩებში დამწკრივდებიან. 2. სიონის ტაძარში 11 საათზე გადახდილ იქნება პარაკლისი და აკაკი დაბრუნდება სახაზინო თეატრში; 3. 12 საათზე გაიმართება მილოცვა. ამ დროსთვის დებუტატები თავთავიანთ ადგილზე უნდა იდგნენ; 4. პირველად იგალობებს ხორო, შემდეგ დაუკრავს მუსიკა, შემდეგ მიულოცავენ და წარმოსთქვამენ სიტყვებს: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წარმომადგენელნი, პრესისა, კულტურულ დაწესებულებათა, საჩხერის წარმომადგენელი, ქალაქებისა, დაბებისა, ქართველ ქალთა, თავდაზნაურობისა, სამრეწველო, საკრედიტო და სავაჭრო დაწესებულებათა. დილის დღესასწაული დამთავრდება აკაკის სიტყვით, სიმღერითა და მუსი-

კით, საღამოს 8 და ნახევარ საათზე ტფილისის სახაზინო თეატრში გაიმართება წარმოდგენა; წარმოდგენილი იქნება: „თამარ ცბიერის“ მეორე მოქმედება. და „პატარა კახის“ მეორე მოქმედება. პირველსა და მეორე მოქმედების შუა მოხდება მილოცვა ხოროსა და მუსიკის მონაწილეობით. დასასრულ, ნ. ერისთავი წაიკითხავს აკაკის ლექსს „სიზმარს“, მუსიკის მონაწილეობით და ცოცხალ სურათებით.

* * კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ უკვე შეიმუშავა საერობო ხარჯთ-აღრიცხვა მომავალი სამი წლისათვის. ამ აღრიცხვრით, საერობო ხარჯებისთვის კავკასიამ უნდა გაიღოს 5,956,908 მ. წელიწადში.

* * სახელმწიფო კონტრალიორმა სახელმწიფო სათათბიროში უკვე წარადგინა 1907 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, 1907 წელს შემოსულა 2,342,474,585 მანეთი, გარდა საგანგებო შემოსავლისა, რომელიც ყოფილა 143,043,179 მან. სახელმწიფო ვალი ყოფილა 8,625,560,215 მანეთი და კ., აქედან 3,155,641,139 მან. 66 30 კ. რკინის გზების ვალი ყოფილა. სახელმწიფო ვალი 1907 წლის ბოლოს ასულა 8,725,523,210 მანეთამდე.

* * თუთხმეტს ამა ნოემბრის რიცხვს უნდა წაეკითხა ტფილისში ლექცია ბ. ს. რ. გორგაძეს „ეკკლესია და სახელმწიფო ძველი საქართველოისა“. როგორც ეხლა შევიტყვეთ ნება არ მისცეს ამ ლექციის წარმოთქმისა. ჩვენ ძლიერ საეჭვოთ მიგვაჩნდა ამ ლექციის წარმოთქმის ნების დართვა. დღევანდელ მთავრობას ის წეს წყობილიება მოსწონს რომელიც ეკკლესიისა და სახელმწიფოს შორის არის დღეს და როგორ მისცემდა ნებას ძველი ავტოკეფალურ სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაზე ელაპარაკანა.

* * ყვირილის ბარგის სადგური გასტეხეს გუშინ ღამ 19 ნოემბერს. ნივთები აღმოაჩინეს ძაღლის წყალობით. ძაღლი უკვე დაკავებულია როგორც მიმგნები ნივთებისა და ვითომ ქურდებისაცა.

ВОЗЗВАНІЕ.*)

თავისებრი
საბჭოთაო

Епископа Тульского Пароенія, для прочтанія во святыхъ храмахъ въ день сбора пожертвованій на построение храма на Куликовомъ полѣ.

ПРАВОСЛАВНЫЕ ХРИСТИАНЕ РУССКОЙ ЗЕМЛИ.

Откликнитееъ на святое и великое дѣло построения храма Божія во имя Преподобнаго Сергія, Радонежскаго Чудотворца, на славомъ въ исторіи нашего Отечества Куликовомъ полѣ (въ нынѣшнемъ Епиѳанскомъ уѣздѣ, Тульской губерніи.)

Здѣсь 8 сентября 1380 года, по благословенію и молитвамъ Преподобнаго Сергія, игумена Свято-Троицкаго монастыря (нынѣшней Троице-Сергіевской Лавры), одержана была Великимъ Княземъ Московскимъ Дмитріемъ, прозваннымъ впослѣдствіи Донскимъ, съ двухсотъ-тысячнымъ войскомъ, великая побѣда надъ угнетавшими дотолѣ Православную Русь татарами. Побѣда эта явилась рѣшительнымъ поворотомъ къ освобожденію Православной Россіи отъ татарскаго по рабощенія.

И вотъ только нынѣ на Куликовомъ полѣ, залитомъ нѣкогда кровью и усѣяномъ костями правослаано-русскихъ воиновъ, за Вѣру и Отечество животь свой положившихъ, предпринято построение Святого храма Божія.

Православные Русскіе люди. Прійдите на помць святому дѣлу и принесите посильную жертву отъ щедротъ вашихъ. Строительный Комитетъ, приступивъ къ этому дѣлу и не располагая достоточными средствами, горячо надѣется на живую помощь и усердіе всѣхъ русскихъ людей.

На сіе святое дѣло САМЪ ГОСУДАРЬ ИМПЕРАТОРЬ НИКОЛАЙ АЛЕКСАНДРОВИЧЪ соизволилъ отпустить 5000 руб. изъ суммъ Капитала Россійскихъ ИМПЕРАТОРСКИХЪ и ЦАРСКИХЪ орденовъ—въ 1907 году, а въ семь году, съ соизволенія ЕГО ВЕЛИЧЕСТВА, Строительный Комитетъ по сооруженію сего храма-памятника принять подъ АВГУСТЪЙШЕЕ покровительство ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЫСОЧЕСТА БЕЛИКАГО КНЯЗЯ МИХАЙЛА АЛЕКСАНДРОВИЧА.—

Пароеній, Епископъ Тульскій и Бѣлевскій.

*) Сіе воззваніе печатается къ свѣдѣнію духовенства Имеретинской Епархіи по распоряженію Преосвященнѣйшаго Георгія Епископа Имеретинскаго.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ზ. ლამბაზიძე, 20 ნოემბერი 1908 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ლამბაზიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.